



**კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების
სმებისთვის საქართველოში: 2017 წლის**

ადგილობრივი არჩევნები

პოლიტიკის ნარკვევი



CSEM

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის
შესწავლის ცენტრი

კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები

პოლიტიკის ნარკვევი

ლევან კახიშვილი

*ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის
ცენტრის თანადამფუძნებელი და საქართველოს
პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი*

თბილისი 2018

ამ პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ
გამოხატავს ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის (CSEM)
და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს
უმაღლესი კომისრის მოსაზრებებს (OSCE-HCNM).





2014 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების წილი მოსახლეობაში 13.2 პროცენტს შეადგენს. ეთნიკურად აზერბაიჯანელები და სომხები კვლავ რჩებიან ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფებად და შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის 6.3 და 4.5 პროცენტს შესაბამისად. საქართველოს მრავალფეროვანი კულტურული ფონი, ნაცვლად იმისა, რომ გამოყენებულ იქნას, როგორც რესურსი, მაგალითად, ამ ეთნიკური ჯგუფების მონათესავე ქვეყნებთან ურთიერთობებში, პრობლემურად რჩება უმცირესობების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის ნაკლებობის გამო. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის შესწავლა პარტიულ პოლიტიკაზე აქცენტირებით. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე საქართველოში ბევრი რამ არის დაწერილი, მაგრამ ამ ლიტერატურის ძირითადი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს კულტურულ, სამართლებრივ ან ისეთ პოლიტიკურ ასპექტებზე, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებს ეხება, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი აქტორები, როგორებიცაა პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ცვლილებების ხელშეწყობა შეუძლიათ, გარკვეულწილად ყურადღების მიღმა დარჩენილი. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში იკვლევს ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხარისხს ქართულ პარტიულ პოლიტიკაში, მიზეზებს, რაც ჩართულობის დაბალ დონეს განაპირობებს და როგორ შეიძლება ამ მდგომარეობის ცვლილება ისე, რომ ეს სასარგებლო იყოს ქართული პოლიტიკური პარტიებისა და, შესაბამისად, ქართული დემოკრატიისთვის.

იმის წინააღობების მიმოხილვამდე, რომლებიც ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობებს პარტიულ პოლიტიკაში მონაწილეობაში, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის არ არსებობს სამართლებრივი სტიმული, რომელიც წაახალისებდა მათ მიერ პროაქტიულ ქმედებას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით. მაგალითად, საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური ასოციაციების შესახებ, რომელიც არეგულირებს პარტიულ პოლიტიკას, ფინანსებს და სხვა საკითხებს, არ შეიცავს არანაირ მექანიზმს, რომელიც წაახალისებდა პოლიტიკურ პარტიებს,





რომ მოეხდინათ ეთნიკური უმცირესობების რეკრუტირება. თუმცა კანონი შეიცავს ორ მნიშვნელოვან პუნქტს, რომელთაგან პირველი კრძალავს პოლიტიკური პარტიების მიერ ეთნიკური შუღლის გაღვივებასა და ძალადობისკენ მოწოდებას, ხოლო მეორე - პარტიების მიერ წევრობის შეზღუდვას რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით (იხილეთ: Parliament of Georgia, 1997). ეს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ განაპირობებს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის დაბალ დონეს, მაგრამ სამართლებრივი წახალისების ნაკლებობა დადებით გავლენას ნამდვილად ვერ მოახდენს. მაგალითად, თუ ქალების პოლიტიკური მონაწილეობის ზრდის ხელშეწყობას განვიხილავთ, კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური ასოციაციის შესახებ დადებით სტიმულებს შეიცავს, რომლებსაც აქვთ ფინანსური წახალისების ფორმა: საბაზისო დაფინანსება 30 პროცენტით იზრდება იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც საარჩევნო სიაში შეიყვანენ ქალ კანდიდატებს მინიმუმ 30 პროცენტის ნიშნით კანდიდატთა სიის პირველ, მეორე, მესამე და ყოველ მომდევნო ათეულში (იხილეთ: Parliament of Georgia, 1997). მეორე საკითხია, რაღა თქმა უნდა, ის, თუ რამდენად საკმარისია ეს წამახალისებელი ზომები რეალური შედეგის მისაღწევად, თუმცა ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში მსგავსი სიმბოლური მცდელობაც კი არ არსებობს სამართლებრივი ნორმების დანერგვის მიმართულებით, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის ზრდის პრინციპის მხარდაჭერას უზრუნველყოფდა.

სამართლებრივი ჩარხო, მეორე მხრივ, არ წარმოადგენს ერთადერთ ასპექტს აღნიშნული პრობლემის განხილვისას და გაცილებით უფრო მეტია დამოკიდებული პოლიტიკური სუბიექტების სურვილზე, გაიზიარონ ის პრაქტიკა, რაც ხელს შეუწყობდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის ზრდას ქართულ პოლიტიკაში. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს მდგომარეობას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის თვალსაზრისით 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონაცემებზე დაყრდნობით. ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, თუ როგორ უწყობს ხელს ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევასთან დაკავშირებული სტერეოტიპები პარტიების მიერ არჩევნებში მათი მნიშვნელობის უგულვებელყოფას. ბოლოს კი შეფასებულია, თუ როგორ ამძიმებს არსებულ მდგომარეობას პარტიულ პოლიტიკაში გავრცელებული პრაქტიკები, კერძოდ, პარტია-ამომრჩევლის კავშირის, რეკრუტირება და ნომინირება და პარტიების ხელმისაწვდომობა.





ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო მონაწილეობა: მითები და ფაქტები

პოლიტიკური მონაწილეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა არის არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩევლის ან კანდიდატის სახით (იხილეთ: Verba, Scholzman, and Brady, 1995). თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანი საბოძია, რადგან ის წარმოადგენს პოლიტიკური გადანაცვლებების მიღების პროცესზე პირდაპირი გავლენის მოხდენის ინსტრუმენტს. ამ მხრივ, 2017 წლის ადგილობრივმა არჩევნებმა აჩვენა, რომ შეიმჩნევა დადებითი ტენდენცია, მაგრამ კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები. საქართველოში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ მონაწილეობას უკავშირდება სამი ძირითადი საკითხი: პირველი, რამდენად არიან უმცირესობები წარმოდგენილნი პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატების სიებში; მეორე, ცრუ წარმოდგენები ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევის შესახებ, რომელიც ფართოდაა გავრცელებული პოლიტიკურ პარტიებს შორის; და მესამე, ეთნიკური უმცირესობების რეალური საარჩევნო ქცევა. შეიძლება იმის მტკიცება, რომ უმცირესობების წარმომადგენლობა იმ კანდიდატების რიგებში, რომლებიც იბრძვიან საჯარო თანამდებობების დასაკავებლად, კვლავ დაბალი რჩება. ამ მკომარეობის ახსნა შესაძლებელია პოლიტიკური პარტიების ცრურწმენით, რომ ეთნიკური უმცირესობების აბსოლუტური უმრავლესობა, ყოველთვის ხმას აძლევს მმართველ პოლიტიკურ ძალას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თითქოს, აზრი არ აქვს რესურსების, ენერჯისა და დროის დახარჯვას უმცირესობებთან კომუნიკაციასა და მათ მობილიზაციაზე, განსაკუთრებით, მათი კომპაქტურად დასახლების არეალებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მიმოხილულია ქვემოთ, აჩვენებს განსხვავებულ ტენდენციას, რომელიც მიუთითებს მმართველი პოლიტიკური ძალისადმი კლებად მხარდაჭერას. შედეგად, პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც ამ დაშვებით ოპერირებენ, უნდა გადახედონ საკუთარ შეხედულებებს.

ეთნიკური უმცირესობები 2017 წლის ადგილობრივ არჩევნებში

2017 წელს, საქართველოს მოსახლეობამ აირჩია მერები, წარმომადგენლები ადგილობრივ დონეზე მაჟორიტარული და პროპორციული წესით. არჩევნებში მონაწილეობა 22 პოლიტიკური პარტია და ხუთი საარჩევნო ბლოკი. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ყველა პარტიის მიერ ყველა ქალაქში წარდგენილი მერობის კანდიდატები, ყველა პარ-






ტიის მიერ წარდგენილი ყველა მაჟორიტარი კანდიდატის სია, ყველა პარტიის მიერ თბილისის საკრებულოსთვის წარდგენილი პროპორციული სიები და შვიდი პოლიტიკური პარტიის მიერ რეგიონებში წარდგენილი პროპორციული სიები. ეს უკანასკნელი შვიდი პარტია წარმოადგენს იმ პარტიებს, რომლებმაც მინიმუმ ერთპროცენტიანი მხარდაჭერა მიიღეს საქართველოს მასშტაბით 2017 წლის არჩევნებში.

64 მუნიციპალიტეტიდან, რომლებშიც აირჩიეს მერ, მხოლოდ ცხრა მუნიციპალიტეტში იყო მინიმუმ ერთი კანდიდატი არაქართული გვარით.¹ ისეთ ქალაქებში, როგორცაა დმანისი და ბოლნისი ასევე თბილისი, რომლებშიც ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, არ იყო ეთნიკურად არაქართველი კანდიდატი წარდგენილი. მაჟორიტარ კანდიდატებს რაც შეეხება, 4 796 კანდიდატიდან 399 ანუ 8.3 პროცენტი მიეკუთვნებოდნენ ეთნიკურ უმცირესობებს. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ქართულ ოცნებას, რომელმაც გაიმარჯვა არჩევნებში, თბილისში არცერთი უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატი არ ჰყოლია წარდგენილი, რაც პრობლემურია, რადგან დედაქალაქის მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ.


დიაგრამა 1: საქართველოს მასშტაბით მაჟორიტარი კანდიდატები ეთნიკური შემადგენლობა



1. ეროვნული იდენტობა და ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულობა სუბიექტური საკითხია. იმის გასარკვევად, თუ ვინ მიიჩნევს საკუთარ თავს უმცირესობად, საჭიროა კონკრეტულმა ინდივიდმა თავად განსაზღვროს საკუთარი იდენტობა. ეს ყველაზე მისაღები გზა უმცირესობების იდენტიფიცირებისთვის, თუმცა ის ჩანაცვლდა უფრო პრაქტიკული ალტერნატივით, რაც გულისხმობს გვარების ქართულ და არაქართულად ჟღერად კატეგორიებად დაყოფას. ამ მიდგომას თავისი შეზღუდვები გააჩნია და არ წარმოადგენს აბსოლუტურად ზუსტ საზომს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც მკითხველი აცნობიერებს ამ შეზღუდვას, ეს მეთოდი წარმოადგენს ეფექტიან გზას ეთნიკური უმცირესობების პროცენტული წილის დასათვლელად პარტიულ სიებში.



დიაგრამა 2: მაჟორიტარი კანდიდატების გადანაწილება ეთნიკურობისა და რეგიონების მიხედვით



გარდა ამისა, პროპორციულ პარტიულ სიებში წარმომადგენლობის თვალსაზრისით, მდგომარეობა თბილისში გაცილებით უფრო ნაკლებ სახარბიელოა უმცირესობებისთვის, ვიდრე - მდგომარეობა რეგიონებში. პროპორციული სიებით წარდგენილ კანდიდატებს შორის უმცირესობები შეადგენენ მხოლოდ ხუთ პროცენტს და მხოლოდ ერთი პროცენტია წარდგენილი კანდიდატების პირველ ათეულში. მეორე მხრივ, თბილისს გარეთ მუნიციპალიტეტებში იმ შვიდი პარტიის მიერ წარდგენილ პროპორციულ სიებში, რომლებმაც ხმების მინიმუმ ერთი პროცენტი მაინც მიიღეს სრულიად საქართველოს მასშტაბით, უმცირესობების წილი, თითქმის, რვა პროცენტს შეადგენს (იხილეთ ცხრილი 1). პარტიების რეგიონულ სიებში, თბილისისგან განსხვავებით, ეთნიკურად არაქართველი კანდიდატების 40 პროცენტზე ოდნავ მეტი წარდგენილია კანდიდატების პირველ ათეულში, საიდანაც 18.5 პროცენტი წარდგენილია პირველ ხუთ კანდიდატს შორის.





ცხრილი 1: ეთნიკური უმცირესობები პროპორციულ პარტიულ სიებში

პოლიტიკური პარტია (სია შედგენილია პარტიის საარჩევნო ნომრის ზრდადობის მიხედვით)	ეთნიკური უმცირესობების პროცენტული წილი კანდიდატების პირველ ხუთეულში	ეთნიკური უმცირესობების პროცენტული წილი კანდიდატების მეორე ხუთეულში
ევროპული საქართველო	16.2	17.4
დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო	22.1	20.9
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	20.4	22.4
საქართველოს პატრიოტთა ალიან- სი	15.5	26.8
საქართველოს ლეიბორისტული პარტია	14.6	29.2
ახალი საქართველო	23.5	21.6
ქართული ოცნება	19.6	20.7
სულ	18.5	21.8

მთლიანობაში, მერების კანდიდატების, მაჟორიტარებისა და პროპორციული სიების მიხედვით, პარტია ახალმა საქართველომ დაადასტურა, რომ შესაძლებელია, მცირე ზომის პარტიამ მოახდინოს იმ ადამიანების შედარებით დიდი რაოდენობით მობილიზება, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან. მაგალითად, ახალი საქართველოს პროპორციულ სიებში ეთნიკური უმცირესობების მაღალი წილის გარდა, პარტიის მიერ წარდგენილი 42 მერობის კანდიდატიდან შვიდი იყო არაქართული გვარის მატარებელი. ამასთან, ახალი საქართველოს მიერ წარდგენილი 74 მაჟორიტარობის კანდიდატიდან 11 მიეკუთვნებოდა ეთნიკურ უმცირესობებს. თუმცა პრობლემა ის არის, რომ ახალმა საქართველომ ხმების მხოლოდ 1.23 პროცენტი მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ მცირე ზომის პარტიების მიერ ნომინირებული უმცირესობები იმდენ გავლენას ვერ ახდენს საერთო სურათზე, რასაც მოახდენდა ნომინირება დიდი ზომის პარტიების მხრიდან. ამისდა მიუხედავად, ახალი საქართველოს შემთხვევა მაინც მნიშვნელოვან დადებით განვითარებად უნდა იქნას განხილული.

2014 წლის ადგილობრივ არჩევნებთან შედარებით ეთნიკური უმცირესობის წილის ზრდა პროპორციულ პარტიულ სიებში, წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ეთნიკური უმცირესობების წილი იმ პარტიების პროპორციულ სიებში, რომლებმაც



მინიმუმ ერთპროცენტის მხარდაჭერა მიიღეს არჩევნებში, 4.7 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2017 წელს იგივე მაჩვენებელი 8.5 პროცენტამდე გაიზარდა (იხილეთ ცხრილი 2). ამასთან, რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია არის ის, რომ, თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც ორივე არჩევნებში იყრიდა კენჭს, გაზარდა უმცირესობების წილი რეგიონებისთვის წარდგენილ პროპორციულ სიებში. ერთადერთი გამონაკლისია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომლის შემთხვევაშიც ეთნიკური უმცირესობების წილი პროპორციულ სიაში 0.1 პროცენტით შემცირდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი კლება, განსაკუთრებით, იმ ფონზე, თუ რა პროცენტებს განვითარდა პარტიის შიგნით, რამაც პარტია დაანაწევრა. შედეგად, ორივე ახალი პარტია, რომელიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია მოყვანილი, სწორედ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რიგებიდან წარმოიშვა. ამიტომ ნათელი ხდება, რომ მთლიანობაში ეთნიკური უმცირესობების რაოდენობრივი წარმომადგენლობა პარტიების მიერ ნომინირებულ კანდიდატთა სიებში თანდათანობით უმჯობესდება.

ცხრილი 2: ეთნიკური უმცირესობების წილის შედარება რეგიონულ სიებში 2014 წლისა და 2017 წლის არჩევნებში

ეთნიკური უმცირესობების წილი რეგიონულ სიებში - 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები	პოლიტიკური პარტია ან საარჩევნო ბლოკი	ეთნიკური უმცირესობების წილი რეგიონულ სიებში - 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები
3.8%	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	6.7%
5.6%	დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო	6.4%
N.A.	ევროპული საქართველო	10.9%
4.4%	ქართული ოცნება	5.3%
3.1%	ლეიბორისტული პარტია	4.0%
N.A.	ახალი საქართველო	19.2%
5.8%	არასაპარლამენტო ოპოზიცია	N.A.
2.7%	სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა	N.A.
7.3%	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	7.2%






მეორე მხრივ, უარყოფით ტენდენციად რჩება ეთნიკური უმცირესობებისა და მათი საჭიროებების იგნორირება საარჩევნო კამპანიის დროს და პარტიულ პროგრამებში. პრობლემა ის არის, რომ ქართულ პოლიტიკაში დომინანტურ როლს თამაშობს ის პოლიტიკური პროცესები, რაც დედაქალაქში მიმდინარეობს. ამიტომ ის საკითხები, რომლებიც პერიფერიისთვისაა დამახასიათებელი, ზოგადად, არ ექცევა ყურადღების ცენტრში. მაგალითად, ისეთი პარტიების ვებგვერდებზე, როგორიცაა ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ან ევროპული საქართველო, განთავსებულია სექცია, რომელიც ეძღვნება წინასაარჩევნო პროგრამას, მაგრამ ეს სექციები მოიცავს მხოლოდ თბილისის მერობის კანდიდატების პროგრამებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის მერის არჩევნები ადგილობრივი არჩევნების ბირთვის წარმოადგენს და პარტიული პროგრამებიცა და დაპირებებიც სწორედ ამ ბირთვის გარშემო ტრიალებს. თუმცა ეს მაინც არ ამართლებს თუნდაც თბილისის მერობის კანდიდატებს, უგულვებელყოფილი დატოვონ იმ ეთნიკური ჯგუფების საჭიროებები, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, მაგალითად, ეთნიკური სომხების, რუსების, იეზიდებისა თუ ბოშების საჭიროებები. მთლიანობაში, არც კანდიდატების მხრიდან და არც პოლიტიკური პარტიების მხრიდან მნიშვნელოვანი ხაზგასმა ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე თბილისში ან რეგიონებში, პრაქტიკულად, არ ყოფილა. ქართული პოლიტიკის ეს თვისება საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას და ცდება წინამდებარე ნაშრომის მიზანს, თუმცა მისი გავლენის აღნიშვნა აუცილებლობას წარმოადგენს.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად

2017 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად, 64-დან 21 მუნიციპალიტეტში არჩეულია მინიმუმ ერთი კანდიდატი ეთნიკური უმცირესობების თემიდან. აღნიშნულ 21 მუნიციპალიტეტში უმცირესობებს წარმოადგენს სულ 165 წარმომადგენელი. ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს იმ საკრებულოების ეთნიკურ შემადგენლობას, რომლებშიც წევრების მინიმუმ 20 პროცენტი ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნება. სულ ასეთი მუნიციპალიტეტი არის რვა და მდებარეობს იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურად სახლობენ.



დიაგრამა 3: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა საკრებულოებში




თუმცა ეს დიაგრამა პროპორციულად არ ასახავს ამ რეგიონების ეთნიკურ შემადგენლობას. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით (იხილეთ ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის მიერ მომზადებული საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების ინტერაქტიული ვებ-რუკა <http://csem.ge/interactivemap/>), საქართველოში სულ ექვსი მუნიციპალიტეტია, სადაც ეთნიკური ქართველები უმცირესობაში იმყოფებიან: ახალქალაქი, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, ინოწმინდა და ნალკა (იხილეთ დიაგრამა 4 ქვემოთ). 2017 წლის არჩევნების შედეგად კი მხოლოდ სამი მუნიციპალიტეტია - მარნეული, ახალქალაქი და ნინოწმინდა, რომელთა საკრებულოშიც ეთნიკური ქართველები უმრავლესობას არ წარმოადგენენ. ბოლნისის, დმანისისა და ნალკის საკრებულოებში ეთნიკურად ქართველები უმრავლესობაში არიან. ეს კი პროპორციულად არ ასახავს ამ მუნიციპალიტეტების ეთნიკურ შემადგენლობას. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ მუნიციპალიტეტებში ეთნიკურად ქართველები გადამეტებულად არიან წარმოდგენილნი, ხოლო ეთნიკური უმცირესობები - ნაკლებად.






დიაგრამა 4: რვა მუნიციპალიტეტის ეთნიკური შემადგენლობა



დიაგრამა 5 აჩვენებს, რომ მოცემულ რვა მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 102,788 ეთნიკურად ქართველი, 90,370 ეთნიკურად სომეხი და 170,830 ეთნიკურად ამერბაიჯანელი, თუმცა ამ სამმა თემმა შესაბამისად მიიღო 132, 81 და 58 ადგილი რვა საკრებულოში. ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ 779 ეთნიკურად ქართველს ჰყავს ერთი წარმომადგენელი საკრებულოში, მაშინ როდესაც 1,116 ეთნიკურად სომეხსაც და 2,945 ეთნიკურად ამერბაიჯანელსაც თითო-თითო წარმომადგენელი ჰყავს საკრებულოში. ეს რიცხვები იმის მანიშნებელია, რომ უმცირესობები მთლიანობაში გაცილებით ნაკლებად არიან წარმოდგენილნი საკრებულოებში, ვიდრე ქართველები. ამასთან, ეთნიკურად ამერბაიჯანელი მოსახლეობა უფრო არასახარბიელო მდგომარეობაშია, ვიდრე ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა. ამ უკანასკნელი ფაქტის ერთ-ერთი ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა უფრო მაღალი პროცენტულობით არის კონცენტრირებული საკუთარი განსახლების არეალში, ვიდრე ეთნიკურად ამერბაიჯანელი მოსახლეობა.



დიაგრამა 5: რვა მუნიციპალიტეტისა და მათი საკრებულოების ეთნიკური შემადგენლობის შედარება



ამგვარად, მონაცემებზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობები არასათანადოდ არიან წარმოდგენილნი არა მხოლოდ ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე, არამედ ადგილობრივ დონეზეც. შედეგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკუთარი ამომრჩევლების ეთნიკური შემადგენლობის პროპორციულად ასახვა ჯერჯერობით, შეიძლება, არ წარმოადგენდეს ქართული პოლიტიკური პარტიების უმთავრეს პრიორიტეტს.

“ხმების ბელელი” - ცრუნმენები უმცირესობების საარჩევნო ქცევასთან დაკავშირებით

პოლიტიკოსებს საქართველოში ნამდვილად ესმით, რომ ეთნიკური უმცირესობები სათანადოდ უნდა იყვნენ პოლიტიკაში წარმოდგენილნი და, რომ ამ მხრივ კვლავ რჩება გადაუჭრელი პრობლემები. თუმცა პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც შეზღუდული რესურსები გააჩნიათ, უწევთ სტრატეგიულად აზროვნება და ზოგიერთი რეგიონის პრიორიტეტად დასახვა სხვების ხარჯზე. შედეგად, იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს დაშვება, თითქოს, უმცირესობები ყოველთვის მმართველ ძალას უჭერენ მხარს, ქართულ პარტიებს სჯერათ, რომ აზრი ეკარგება დროის, ენერჯისა და რესურსების ხარჯვას საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისთვის უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ავტორთან კონფიდენციალური ინტერვიუს დროს, ერთმა პოლიტიკოსმა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს მმართველი ძალის “ხმების





ბელელი” უწოდა და ამტკიცებდა, რომ მმართველი პარტიები ამ რეგიონებში აგროვებენ ხმების “საშუალოდ 87-94 პროცენტს”. თუმცა ეს დაშვება ყოველთვის არ შეესაბამება სიმართლეს. სინამდვილეში, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებობს მმართველი პარტიის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი კლებადი ტენდენცია. უკანასკნელი სამი საპარლამენტო არჩევნების მონაცემები, რომლებიც მთლიან ათწლეულს მოიცავს (2016, 2012, 2008), ნათლად აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევა თანდათანობით იცვლება.

ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევის ცვლილებაზე დაკვირვებისთვის საჭიროა შვიდი რაიონის მონაცემები: ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი და მარნეული ქვემო ქართლის რეგიონში და ახალქალაქი, ახალციხე და ნინოწმინდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (იხილეთ ცხრილი 3). საქართველოს საარჩევნო მონაცემების (ForSet, 2018c) მიხედვით, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაშინდელმა მმართველმა პარტიამ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო ხმების 85 პროცენტი და მხოლოდ ხმების 15 პროცენტი გადანაწილდა ოპოზიციურ პარტიებზე. ეს მაჩვენებელი შემცირდა 72 პროცენტამდე 2012 წელს მაშინდელი მმართველი პარტიისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციური პარტიების ხმების წილმა ამ რაიონებში მოიმატა 88 პროცენტით (ForSet, 2018c). საბოლოოდ, 2016 წლის არჩევნებში პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მაშინდელმა მმართველმა ძალამ, ქართულმა ოცნებამ ამ რაიონებში საშუალოდ უფრო დაბალი მხარდაჭერა მიიღო, ვიდრე მთლიანად საქართველოს მასშტაბით. ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებული ხმების წილი კვლავ გაიზარდა, ამჯერად 90 პროცენტით და მიაღწია საშუალოდ 53.9 პროცენტს, რაც ხმათა უმრავლესობას წარმოადგენს (ForSet, 2018c). ეს ნიშნავს, რომ 2008 წლიდან 2016 წლამდე ოპოზიციური პარტიების ხმების წილი მოცემულ შვიდ რაიონში 3.5-ზე მეტჯერ გაიზარდა, რაც მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს და მისი იგნორირების ფუფუნება ოპოზიციურ პარტიებს არ აქვთ, თუ, რა თქმა უნდა, მათ სურთ უფრო მეტი ხმის მოპოვება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე.

უფრო მეტიც, 2016 წელს, მოცემული შვიდი რაიონიდან ხუთში ამომრჩევლების ნახევარზე მეტმა იმ პარტიას მისცა ხმა, რომელიც ხელისუფლებაში არ იმყოფებოდა. ეს კი აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობების მმართველი პარტიის “ხმების ბელელად” მიჩნევა მცდარია. ამის ნაცვლად, საჭიროა პოლიტიკური პარტიების მხრიდან უფრო მაღალი ხარისხის ჩართულობა უმცირესობებთან. იმის გათვალისწინ-





ნებით, რომ ქართული ოცნება მეორე ვადით არის არჩეული, ხოლო ქართველ ამომრჩეველს არ ჰყოლია მთავრობა ორზე მეტი ვადით, შეიძლება იმის მტკიცება, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნები, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვანი პოლიტიკური კონკურენციის საფუძველი იქნება. ერთი მხრივ, ქართული ოცნებისთვის საჭირო იქნება უფრო მეტად გააქტიურება უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საკუთარი პოზიციების გამტკიცების მიზნით. მეორე მხრივ კი, ოპოზიციის ქმედებამ პროაქტიული ხასიათი უნდა მიიღოს და გააძლიეროს კომუნიკაცია უმცირესობების თემებთან არჩევნებს შორის პერიოდში, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება იმ სივრცის შევსება, რაც გამონვეულია მმართველი ძალის პოპულარობის პოტენციური კლებისა და პოლიტიკური პარტიებისადმი უმცირესობების ნდობის ზრდის შედეგად.

ცხრილი 3: ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევა საქართველოში ბოლო სამი საპარლამენტო არჩევნების დროს

საპარლამენტო არჩევნები


	2008		2012		2016	
	მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი (%)	ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებული ხმების წილი (%)	მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი (%)	ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებული ხმების წილი (%)	მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი (%)	ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებული ხმების წილი (%)
მარნეული	86.2	13.8	78.91	21.09	45.39	54.61
გარდაბანი	73.59	26.41	55.5	44.5	44.2	55.8
დმანისი	84.77	15.23	69.83	30.17	44.42	55.58
ბოლნისი	83.29	16.71	66.99	33.01	47.77	52.23
ახალქალაქი	90.2	9.8	79.59	20.41	51.25	48.75
ნინოწმინდა	93.16	6.84	76.54	23.46	40.98	59.02
ახალციხე	83.59	16.41	75.04	24.96	48.8	51.2
საშუალო	85.0	15.0	71.8	28.2	46.1	53.9
მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი	59.18		40.34		48.68	

წყარო: ForSet (2018c)





საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით, არსებობს მზარდი ტენდენცია ეთნიკური უმცირესობების მხრიდან პოლიტიკური პარტიების ნდობის თვალსაზრისით. საქართველოში ევროკავშირის შესახებ ცოდნისა და დამოკიდებულების კვლევა, რომელიც ტარდება კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (Caucasus Research Resources Center, 2017) მიერ ორ წელიწადში ერთხელ, საშუალებას იძლევა უმცირესობებით დასახლებული რეგიონების გამოყოფა საზოგადოების ცალკე სეგმენტის სახით და ამ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის აზრის ანალიზი ისე, რომ არ დაირღვეს მონაცემების წარმომადგენლობითობა. 2013 წლის გამოკითხვის მიხედვით, უმცირესობების მხოლოდ 10 პროცენტი ენდობოდა პოლიტიკურ პარტიებს, როდესაც 41 პროცენტს არ ჰქონდა პასუხი შეკითხვაზე (The Caucasus Research Resources Center, 2013). თუმცა 2017 წლის მონაცემების მიხედვით, პოლიტიკური პარტიების მიმართ ეთნიკური უმცირესობების ნდობა, თითქმის, ოთხჯერ გაიზარდა და 38 პროცენტს მიაღწია. ამ მონაცემების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები ქართული საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც გამოირჩევა პოლიტიკური პარტიებისადმი ყველაზე მაღალი ნდობით. ეს კი ის საკითხია, რაც შემდგომ კვლევას საჭიროებს, რათა აიხსნას, რამ გამოიწვია ეს შესამჩნევი ცვლილება ნდობის ხარისხში, თუმცა ეს საკითხი არ წარმოადგენს წინამდებარე კვლევის ამოცანას.



ყველა ეს მონაცემი, კლებადი მხარდაჭერა მმართველი პარტიის მიმართ და მზარდი ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ, მიუთითებს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე: ეს თემები მზად არიან უფრო მეტი ჩართულობისთვის და ამ მზაობას ესაჭიროება უფრო პროაქტიული კომუნიკაცია პოლიტიკური პარტიების მხრიდან.





პარტიული პოლიტიკის გამოწვევები და გაუმჯობესების შესაძლებლობები

ქართული პოლიტიკური პარტიები ხშირად მიიჩნევენ, რომ ისინი ყველაფერს აკეთებენ შესაძლებლობის ფარგლებში, მაგრამ კიდევ უფრო მეტის გაკეთებაც შესაძლებელია. წინამდებარე ნაშრომი წარმოაჩენს პოლიტიკური პარტიების პრაქტიკასთან დაკავშირებულ სამ ძირითად პრობლემას. პირველი პრობლემა ეხება იმას, თუ როგორია პარტია-ამომრჩევლის კავშირი, მეორე პრობლემა არის ის, თუ როგორ ცდილობენ პარტიები უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი ელიტების რეკრუტირებას და მესამე პრობლემა უკავშირდება იმას, თუ რამდენად ახერხებენ პარტიები, რომ იყვნენ ხელმისაწვდომი უმცირესობებისთვის.

პარტია-ამომრჩევლის კავშირი საქართველოში

პირველი და ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის არის ის, თუ როგორ ცდილობენ ისინი ამომრჩეველთან კავშირის დამყარებას: ისინი ნაკლებ ყურადღებას ამახვილებენ იდეოლოგიურ პროგრამებზე და მეტისმეტად უსვამენ ხაზს ლიდერების ქარიზმას ან პირდაპირ სარგებელს, რომელსაც მათი მხარდამჭერები მიიღებენ მათი არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში (იხილეთ: Kitchelt, 1995). პოსტკომუნისტურ პოლიტიკურ სისტემებში ამომრჩევლები გადანაცვლებას იმის შესახებ, თუ ვის მისცემენ ხმას, სამი ძირითადი ფაქტორის გავლენით იღებენ: ლიდერის ქარიზმა, პირდაპირი ხელშესახები ან არახელშესახები სარგებლის მოლოდინი (კლიენტელიზმი) და არაპირდაპირი სარგებლის მოლოდინი საზოგადოებრივი კეთილდღეობის შემქნის მეშვეობით (პროგრამული პარტიული სისტემები). შესაბამისად, ეს ფაქტორები განსაზღვრავენ კავშირის ტიპს პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის. პარტია-ამომრჩეველს შორის კავშირის ტიპი, რომლის განვითარებასაც უნდა ცდილობდნენ პარტიები, არის პროგრამული. თუმცა ამ ტიპის კავშირი მოითხოვს რამდენიმე წინაპირობის დაკმაყოფილებას: პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ თანმიმდევრული იდეოლოგია, რომელიც შეესაბამება მათივე სახელს და ლიდერებისა და წევრების მიერ საჯაროდ გაცხადებულ შეხედულებას და პოზიციებს, წინასწარ ჩვენო პარტიული პროგრამა უნდა შეიქმნას ყოველი არჩევნების წინ და უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ იდეოლოგიას. ეს ყველაფერი





მნიშვნელოვანია ამომრჩევლებისთვის, რადგან მათ წინასწარ ეცოდინებათ, როგორ საჯარო პოლიტიკურ კურსს გაატარებს ესა თუ ის პარტია არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამომრჩევლებს ეცოდინებათ, რა ტიპის არაპირდაპირ სარგებელს მიიღებენ აღნიშნული პარტიის მმართველობის შედეგად. მეორე მხრივ, ქარიზმატული, ისევე როგორც კლიენტელისტური კავშირი სუსტია, არასტაბილური და არ უწყობს ხელს პარტიების განვითარებას.

ქარიზმატული კავშირი განაპირობებს ქართული პოლიტიკური პარტიების “სიკვდილიანობის მაღალ დონეს” (იხილეთ: Nodia and Scholtbach, 2006). ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია “კვდება” როდესაც მისი ლიდერის პოპულარობა იკლებს. შესაბამისად, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია მიზნად ისახავს საკუთარი თავის, როგორც ორგანიზაციის შენარჩუნებას, ის არ უნდა იყოს მხოლოდ საკუთარი ლიდერის პოპულარობის იმედად და მიზნად უნდა დაისახოს ინსტიტუციონალიზაცია. რაც შეეხება კლიენტელისტურ კავშირს, ისიც ისეთივე სუსტი და არასტაბილურია, რადგან პირდაპირი მატერიალური სარგებელი განსაზღვრავს ამომრჩევლების მხარდაჭერას მოცემული პარტიის მიმართ. შესაბამისად, სხვა პოლიტიკური ძალის გამოჩენის შემთხვევაში, რომელსაც უფრო მეტი მატერიალური რესურსი გააჩნია, კავშირი განწყდება და ამომრჩევლები შეიცვლიან პოზიციას. ქართულ პოლიტიკაში ყოფილა მსგავსი შემთხვევები და ქართული პარტიები იცნობენ ასეთ მდგომარეობას (იხილეთ: Kakhishvili, 2017). თუმცა ისინი ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ ყველაზე სტაბილური, პროგრამული კავშირის დამყარებას საკუთარ ამომრჩევლებთან.

განხილული პრობლემა, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს მხოლოდ პარტიებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის კავშირის მახასიათებელს; ის არის საქართველოში არსებული ზოგადი მდგომარეობის თვისება. თუმცა ეს პრობლემა დიდი მნიშვნელობის მატარებელია და გავლენას ახდენს საზოგადოების ყველა სეგმენტზე. შესაბამისად, ამ პრობლემის მოგვარებას ესაჭიროება სასწრაფო ქმედება. სხვა შემთხვევაში ალტერნატივა არის დემოკრატიზაციის გაძლიერების მეტად არასტაბილური გზა.



რეკრუტირებისა და ნომინირების პრაქტიკა

რეკრუტირებისა და ნომინირების პრაქტიკასთან დაკავშირებით არსებობს ორი ძირითადი პრობლემა ქართულ პარტიულ პოლიტიკაში. ეს პრობლემები, ისევე როგორც ზემოთ განხილული პრობლემა, გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ მონაწილეობაზე, არამედ პარტიების შიდა დემოკრატიულობის ხარისხზეც. პირველი პრობლემა უკავშირდება ახალი წევრების მოძიებისთვის ინსტიტუციური მექანიზმების ნაკლებობას. მეორე პრობლემა კი ეხება არჩევნებში კანდიდატების ნომინირების პროცესში გამჭვირვალობის ნაკლებობას. ეს პრობლემები ართულებს ამომრჩეველთან წვდომასა და მათ უფრო აქტიურად მობილიზაციას.

რეკრუტირება პრობლემურია ქართული პარტიებისთვის იმის გამო, რომ არ არსებობს ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც დაეხმარებოდა პარტიებს ახალი წევრების მოძიებაში. მეტიც, რეკრუტირება არ არის მხოლოდ ახალი წევრის მიღება პარტიაში, ის ასევე მოიაზრებს ახალი წევრების დახმარებას იმ მიზნით, რომ ისინი გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ პარტიული ორგანიზაციის ორგანულ ნაწილად. წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც ართულებს უმცირესობების პოლიტიკაში ჩართულობას, არის “პარტიის შიდა” პრობლემა და გულისხმობს “ახალი სახეების პოვნას, წახალისებას და მათთან მუშაობას.” მეორე მხრივ, სირთულეს არ წარმოადგენს ახალგაზრდა ადამიანის პოვნა, რომელიც პარტიას შეუერთდება, თუმცა ის, რაც გამოწვევად რჩება ქართული პარტიებისთვის არის ამ ახალი წევრის პროფესიონალ პოლიტიკოსად აღზრდა. თუმცა ზოგიერთი ქართული პარტია უფროსის იმის შესაძლებლობას, რომ “მტერი არ შეიპაროს” მათ რიგებში ჩვეულებრივი წევრის სახით, რის გამოც რესპონდენტი ამტკიცებდა, რომ პარტია აუცილებლად სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ახლადგანწვრიანებული ადამიანი კანდიდატად ნომინირებას.

მეორე მხრივ, პროფესიონალი პოლიტიკოსების აღზრდა არსობრივად არის დაკავშირებული ნომინირების პროცესთან, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს პარტიის შიგნით არსებულ ჯილდეობის ყველაზე ეფექტურ სისტემას. თუმცა აქაც პარტიები აწყდებიან გამოწვევას: საჭიროა უფრო გამჭვირვალე პრაქტიკა და ნომინირების პატრიმონიული წესებისთვის თავის დანებება. როგორც ერთი პოლიტიკოსი





ამტკიცებდა ავტორთან ინტერვიუს დროს, “პარტიული სიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი უკავშირდება პარტიის შიდა დემოკრატიულობის ხარისხს და სხვა არაფერია თუ არა გამჭვირვალობა”. გამჭვირვალობის ნაკლებობა პარტიული სიების ფორმირების პროცესში პრობლემურად რჩება და საჭიროებს პარტიების მხრიდან პოლიტიკური ნების არსებობას, რომ ისინი გადაიქცნენ ისეთ ინსტიტუტებად, რომელშიც წარმატების საწინდარი არის ადამიანის კვალიფიკაცია და დამსახურება. ეს კი, ელექტორატთან სწორი კომუნიკაციის შემთხვევაში, თავის მხრივ, პარტიის მხარდამჭერებში პარტიაში განევრიანებისა და მისი ერთგულების სურვილს გააღვივებს.

ეს მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ადგილობრივ ელიტებს შორის კონკურენციის დაბალ დონესთან საქართველოს რეგიონებში. ერთ-ერთი პოლიტიკოსის მიხედვით, არსებულ ადგილობრივ ელიტებს “არ სურთ ძალაუფლების ხელიდან გაშვება, ცდილობენ, რომ მჭიდროდ იყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაკავშირებული და ცდილობენ კონკურენციის შეზღუდვას, რადგან ეს ყველაფერი უკავშირდება ბიზნესს, ძალაუფლებას და ა.შ.” მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსაზრებას შეიძლება იზიარებდეს არაერთი პოლიტიკოსი, იმ შემთხვევაშიც კი თუ ის სიმართლეა, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ადგილობრივი ელიტების კულტივირება შესაძლებელი იქნება საკუთარი მხარდამჭერების მობილიზაციის მეშვეობით. საჭიროა, აღიზარდოს ახალი ლიდერები ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, მათ შორის, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებშიც.

პოლიტიკური პარტიების ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისთვის

იმ შემთხვევაში, თუ რეკრუტირების აქტიური ზომები არ არსებობს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება პასიური ზომების მიღება, რათა პარტია იყოს მარტივად ხელმისაწვდომი იმ შეზღუდული რაოდენობის მოქალაქეებისთვის, რომლებიც საკუთარი ინიციატივით ცდილობენ სასურველ პარტიაში განევრიანებას. თუმცა ამ თვალსაზრისითაც კი პოლიტიკური პარტიები ვერ აკმაყოფილებენ მინიმალურ სტანდარტებს. მაგალითად, ოფიციალურ ვებგვერდზე წევრობაზე განაცხადის ფორმის განთავსება არც ხარჯებთანაა დაკავშირებული და არც სირთულესთან. ამისდა მიუხედავად 2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით, იმ შვიდი პარტიიდან, რომლებმაც 2017 წლის არჩევნებში ხმე-





ბის მინიმუმ ერთი პროცენტი მიიღეს საქართველოს მასშტაბით, მხოლოდ სამს აქვს განთავსებული მსგავსი ფორმა ვებგვერდზე (ერთ-ერთი ვებგვერდი მთლიანად გათიშული იყო). ამ სამიდან კი მხოლოდ ერთი პარტია აძლევს საკუთარი ვებგვერდის მომხმარებლებს იმის საშუალებას, რომ მოითხოვონ მოხალისეობრივი საქმიანობა პარტიაში, რაც სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში.

უფრო მეტიც, ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლებმაც შეიძლება, არ იცოდნენ სახელმწიფო ენა, ეს ვებგვერდები მიუწვდომელი რჩება, რადგან ყველა მათგანი მხოლოდ ქართულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი. მეორე მხრივ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეთნიკური უმცირესობის თემს მიკუთვნებულმა პირმა იცის ქართული ენა, შვიდიდან მხოლოდ ერთ პარტიას აქვს განთავსებული რეგიონული ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია, ხოლო დანარჩენ ვებგვერდებზე მხოლოდ დედაქალაქში არსებული ცენტრალური ოფისის საკონტაქტო ინფორმაციაა მოცემული.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ეს ასპექტები მარტივად შეიძლება, შეიცვალოს, ვებგვერდების გადათარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე იქნებოდა სიგნალი ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომ კონკრეტული პარტია ზრუნავს ელექტორატის დაახლოებით 13 პროცენტზე, რომელიც არ არის ეთნიკურად ქართველი. კიდევ ერთი საკითხია წინასაარჩევნო პროგრამების თარგმნა და ისეთი პრობლემების შეტანა პრიორიტეტებსა თუ დაპირებებს შორის, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს განსაკუთრებით აწუხებს. ამ მხრივ პროგრესის ფართო შესაძლებლობა არსებობს.





დასკვნა და რეკომენდაციები

იმის გათვალისწინებით, თუ რა მითებია გავრცელებული ქართულ პოლიტიკურ პარტიებში ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევასთან დაკავშირებით, ასევე თუ რა პრაქტიკა არსებობს პარტიებში, რაც არ ამარტივებს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ მონაწილეობას, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეთნოსთაშორისი ურთიერთობები საქართველოში პრობლემურ საკითხად რჩევა ინტეგრაციის დაბალი დონის გამო. ინტეგრაციის ეს დაბალი დონე განპირობებულია აღქმითი პრობლემებითა, მაგალითად, მითებითა და სტერეოტიპებით, და ლოგიკური პრობლემებით, მაგალითად, ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილისა და მათი საჭიროებების უგულვებელყოფა. ასეთ დროსაც კი ქართულ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ პოტენციალი, რომ შეცვალონ მდგომარეობა ყველას საკეთილდღეოდ და გამოიჩინონ უფრო მეტი ინიციატივა ეთნიკურ უმცირესობებთან ჩართულობის თვალსაზრისით. ამ მიზნით ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები უნდა იქნას გათვალისწინებული შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ.

ქართული პოლიტიკური პარტიები უნდა:

- გახდნენ უფრო მეტად ორიენტირებულნი იდეოლოგიაზე და გადააქციონ საკუთარი მხარდაჭერების ერთგულება პარტია-ამომრჩევლის პროგრამულ კავშირად.
 - პარტიებმა ნათლად უნდა განსაზღვრონ საკუთარი იდეოლოგია და ამ იდეოლოგიასთან შესაბამისობაში განავითარონ წინასაარჩევნო პროგრამები ისევე, როგორც პოზიციები საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ. იმავდროულად პარტიების უფროსმა წევრებმა უნდა იქონიონ ახლო ურთიერთობა და კომუნიკაცია ახალგაზრდა წევრებთან იმ მიზნით, რომ გაიზარდოს სოციალიზაციის ხარისხი და პარტიის ფასეულობების გაზიარების დონე პარტიის წევრების სრულ სპექტრში. ბოლოს, ახალი წევრების რეკრუტირების დროს პარტიები სიფრთხილით უნდა მოეკიდნონ პოტენციური წევრების დარწმუნების მეთოდებს, რადგან ფინანსური სარგებელი და კარიერული წინსვლა ნაკლებმნიშვნელოვანია ახალი ერთგული წევრების შექმნის თვალსაზრისით.



ამიტომ პარტიებმა უნდა უნდა მოიზიდონ ის წევრები, რომლებიც იზიარებენ მათ ფასეულობებს.

- მოახდინონ რეკრუტირებისა და ნომინირების პროცესების ინსტიტუციონალიზაცია.
 - პარტიებს ესაჭიროებათ ჩამოყალიბებული სტრატეგია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიზიდონ ისეთი ახალი წევრები, განსაკუთრებით უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რომლებიც პარტიის ერთგულნი დარჩებიან ფასეულობებიდან გამომდინარე. მაგალითად, შესაძლებელია, საჯარო საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე განსაკუთრებული ფოკუსით. ამ ღონისძიებებს დაესწრებიან ის პირები, რომლებიც, სავარაუდოდ, იზიარებენ ორგანიზატორების ფასეულობებს. გარდა ამისა, ვებგვერდებსა და სოციალური მედიის ანგარიშებზე უნდა იყოს განთავსებული წევრობის მოთხოვნის ფორმები, რაც გაამარტივებს წევრობაზე განაცხადის წარდგენას. ამასთან, მნიშვნელოვანია იმ ნათელი და გამჭვირვალე წესების არსებობა, რომელთა მიხედვითაც ხდება წევრების ნომინირება საარჩევნო კანდიდატებად. ამის მიღწევის ერთ-ერთი გზაა ადგილობრივი პრაიმერების ჩატარება თითოეულ რეგიონში, რათა განისაზღვროს რეგიონული სიები, განსაკუთრებით ადგილობრივი არჩევნებისთვის.
- გახდნენ უფრო მარტივად ხელმისაწვდომი ეთნიკური უმცირესობებისთვის.
 - პარტიებმა უნდა თარგმნონ საკუთარი წინასაარჩევნო პროგრამები და ვებგვერდები უმცირესობების ენებზე, რათა ეთნიკურ უმცირესობებს საშუალება ჰქონდეთ, გაეცნონ პარტიის წინასაარჩევნო დაპირებებს. მეტიც, მნიშვნელოვანია, რომ წინასაარჩევნო პროგრამაში შეტანილი იქნას ის პრობლემეტიკაც, რაც აწუხებთ ეთნიკურ უმცირესობებს, რათა ამ თემებმა თავი არ იგრძნონ გარიყულად და უგულვებელყოფილად პოლიტიკური პარტიების მხრიდან.
- გათავისუფლდნენ ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევასთან დაკავშირებული ცრურწმენებისგან.
 - პარტიებმა უნდა გადახედონ ეთნიკური უმცირესობების საარ-





ჩვენო ქვეყანასთან დაკავშირებულ საკუთარ შეხედულებებს და უნდა იყვნენ ღია იმ იდეისადმი, რომ შესაძლებელია უმცირესობების საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკური მხარდაჭერის მობილიზება, რაც შეიძლება, განაპირობოს პოლიტიკური პარტიებისადმი შედარებით მაღალმა ნდობამ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობასთან შედარებით.

- უზრუნველყონ, რომ ადგილობრივ არჩევნებში წარდგინილი საარჩევნო სიები სათანადოდ ასახავენ რეგიონის ეთნიკურ შემადგენლობას.
 - ეთნიკური უმცირესობები არასათანადოდ არიან წარმოდგენილნი რეგიონულ პარტიულ სიებში. ამის გამოსასწორებლად, პარტიებს შეუძლიათ, შემოიღონ მოხალისეობრივი კვოტები ეთნიკური უმცირესობებისთვის იმ რეგიონებში, სადაც უმცირესობების მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კვოტები ხშირად უარყოფითად აღიქმება უმცირესობების მიერ, მაგრამ თუ პარტია მოახერხებს იმის ჩვენებას, რომ თვისებრივი წარმომადგენლობა არანაკლებ პრიორიტეტულია, ვიდრე რაოდენობრივი, მოხალისეობრივი კვოტები დადებითი განვითარება იქნება.

ქართულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა:

- გაუწიონ დახმარება პოლიტიკურ პარტიებს, რათა ისინი გახდნენ უფრო მეტად პროგრამულები.
 - ხშირად თავად პოლიტიკური პარტიებიც ვერ აცნობიერებენ, თუ სად თავსდება მათი პოზიციები იდეოლოგიის სპექტრზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებსაც ექსპერტიზის მაღალი დონე აქვთ, შეუძლიათ, დახმარება გაუწიონ პარტიებს საკუთარი იდეოლოგიის იდენტიფიცირებაში. მეტიც, ამ ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ, რამდენად შეესაბამება პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები პარტიის ოფიციალურ იდეოლოგიას. ამასთან, აღნიშნულ ორგანიზაციებს შეუძლიათ, რომ პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრებს ტრენინგები ჩაუტარონ საკუთარი პარტიის იდეოლოგიის პრინციპებისა და ფასეულობების უკეთესად გააზრების მიზნით.





- ჩაატარონ რეგულარული მონიტორინგი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება წინასაარჩევნო პროგრამები პარტიების იდეოლოგიებს და რამდენად უთმობენ პარტიები ყურადღებას უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს.
 - წინასაარჩევნო პროგრამების მონიტორინგი რუტინული სამუშაო უნდა იყოს ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ თითოეულ პარტიას ექნება პროგრამა, რომელიც შეესაბამება მის იდეოლოგიას. ეს კი შეამცირებს გაურკვევლობის დონეს საზოგადოებაში იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის საჯარო პოლიტიკური კურსის გატარება მოხდება ამა თუ იმ პარტიის გამარჯვების შემთხვევაში. ამასთან, მსგავსი მონიტორინგი აგრეთვე უზრუნველყოფს იმას, რომ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს სათანადო ყურადღება ეთმობა პარტიულ პროგრამებში.





გამოყენებული ლიტერატურა

Central Election Commission. (2017). *Municipal Elections, 2017*. [მოპოვებულია ელექტრონულად]. ხელმისაწვდომია: <http://cesko.ge/eng/elections/2017>

Central Election Commission. (2017). *Results of Municipal Elections, 2017*. [მოპოვებულია ელექტრონულად]. ხელმისაწვდომია: <https://results20171021.cec.gov.ge/>

ForSet. (2018c). *Georgian Election Data* [მონაცემების ფაილი]. [მოპოვებულია ელექტრონულად]. ხელმისაწვდომია: https://data.electionsportal.ge/en/data_archives

Nodia, G. and Scholtbach, A. P. (2006). *The Political Landscape of Georgia Political Parties: Achievements, Challenges and Prospects*. Delft: Eburon Academic Publishers.

Kakhishvili, L. (2017). *Is Democracy Possible without Stable Political Parties? Party Politics in Georgia and Prospects for Democratic Consolidation*. [მოპოვებულია ელექტრონულად]. ხელმისაწვდომია: <http://gip.ge/6401/>

Kaladze.ge. (2017). *Program*. [მოპოვებულია ელექტრონულად]. ხელმისაწვდომია: <http://kaladze.ge/program>

Kitschelt, H. (1995). "Formation of party cleavages in post-communist democracies: Theoretical propositions". *Party politics*, 1(4), 447-472.

Parliament of Georgia. (1997). "Organic Law of Georgia on Political Associations of Citizens (Consolidation version)". *Legislative Herald of Georgia*. [მოპოვებულია ელექტრონულად]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/en/document/view/28324>

The Caucasus Research Resource Centers. (2013). "Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia". მოპოვებულია ელექტრონულად ODA-ს მეშვეობით - <http://caucasusbarometer.org>

The Caucasus Research Resource Centers. (2017). "Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia". მოპოვებულია ელექტრონულად ODA-ს მეშვეობით - <http://caucasusbarometer.org>

UNA Georgia. (2008). *Diversity.ge: National Integration and Tolerance in Georgia*. [მოპოვებულია ელექტრონულად]. ხელმისაწვდომია: <http://diversity.ge/eng/map.php>

Verba, S., Schlozman, K.L. and H. Brady. (1995). *Voice and Equality: Civic Voluntarism in American Politics*. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2016). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. [მოპოვებულია ელექტრონულად]. ხელმისაწვდომია: http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf



